

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ  
პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 4 ივნისის ბრძანების  
№142 /01-01 საფუძველზე ქიმიის დეპარტამენტის ზოგადი, არაორგანული და  
მეტალორგანული ქიმიის, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის, ორგანული და  
ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრებზე ასისტენტ პროფესორების აკადემიური  
თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების  
უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის  
№70/2024 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

### შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

7 აგვისტო, 2024 წელი

13: საათი, თსუ, II კორპუსი, ოთახი 144

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა ხუთივე წევრი:

1. გიორგი ბეზარაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მარინა ტრაპაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. მარინა ქარჩხაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. ანტონინა მსხილაძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. რუსუდან გიგაური - თსუ-ს რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის: ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის (ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანსია „ა“ კატეგორია); ფიზიკური და ანალიზური ქიმიის (ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანსია „ა“ კატეგორია); ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის (ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანსია „ა“ კატეგორია) კათედრებზე ასისტენტ პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი კორექტირებული შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

1. მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის ასოცირებული პროფესორის გიორგი ბეზარაშვილის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისაგან კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, გადმოცემული საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქული სახით. საკონკურსო დოკუმენტაცია გაიხსნა კომისიის მიერ და კომისია შეუდგა მუშაობას.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეპარტამენტი - ქიმია, კათედრა - ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის, ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) 1 ვაკანსიაზე საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ქიმიის აკადემიურმა დოქტორმა ქრისტინე გიორგაძემ.

კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა კონკურსანტ ქრისტინე გიორგაძის საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში (118 დადგენილების დანართი №3) მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის (118 დადგენილების დანართი №4) მიხედვით.

შეფასების I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს”.

შეფასების II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მოცემული მონაცემების საფუძველზე (ქრისტინე გიორგაძეს აქვს 37 წლის პედაგოგიური სტაჟი, წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტებთან, ბოლო 6 წელიწადში - 8 საგანს, არის 12 სახელმძღვანელოს თანაავტორი) კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

შეფასების III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე: პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (8), მოხსენებები ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში (5), საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის მანძილზე (2), ციტირების ინდექსი-10 (Scopus), h-ინდექსი-3 (Scopus), g-ინდექსი-3.

კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი კომისიის მიერ შეფასდა, როგორც დარგთან შესაბამისობაში მყოფი მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომი. III კატეგორიის პირველ ნაწილში კონკურსანტმა დაიმსახურა მაღალი შეფასება, ხოლო მეორე ნაწილში საშუალო.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, ასახავს სამომავლო მოღვაწეობის მიზნებს.

შეფასების IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა): ქრისტინე გიორგაძე წლების განმავლობაში არის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი, ან თანახელმძღვანელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულების მაგისტრატურაში მისაღები და სააპელაციო საუნივერსიტეტო კომისიის წევრი, ფლობს უცხო ენებს და კომპიუტერულ პროგრამებს: MS Word, MS Excel, Photoshop, Internet. IV კატეგორიის მიხედვით კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასება არის „მაღალი“.

**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეპარტამენტი - ქიმია, კათედრა - ფიზიკური და ანალიზური ქიმია**- ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) 1 ვაკანსიაზე საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ქიმიის აკადემიურმა დოქტორმა ნინო თაყაიშვილმა.

კონკურსის პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისიის მიერ შემოწმდა კონკურსანტი ნინო თაყაიშვილის საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასდა წარმოდგენილ ანკეტაში (118 დადგენილების დანართი №3) მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის (118 დადგენილების დანართი №4) მიხედვით.

შეფასების I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით “კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მოცემული მონაცემების საფუძველზე ნინო თაყაიშვილს აქვს 23 წლის პედაგოგიური სტაჟი, წლების განმავლობაში კითხულობს ლექციებს როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტებთან, ბოლო 6 წელიწადში - 9 საგანს, ხოლო 13 საგანში ატარებს სემინარულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს, არის 3 სახელმძღვანელოს რედაქტორი) კომისიის მიერ კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

შეფასების III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე: პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (8), სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები -80, პატენტები-2, მოხსენებები ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში (4), საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის მანძილზე (3), ციტირების ინდექსი-223(Scopus), h-ინდექსი-6 (Scopus), g-ინდექსი-6. Google Scholar-ის მიხედვით:

ციტირების ინდექსი -257; h - ინდექსი - 6; Web of Science-ის მიხედვით: ციტირების ინდექსი - 199; h - ინდექსი - 6; კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და შეფასდა მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომად. ამრიგად, III კატეგორიის ორივე ნაწილში კონკურსანტი შეფასდა კრიტერიუმით „მაღალი“.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს

შეფასების IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა): არის „ქიმიური ექსპერტიზის“ სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი; ანალიზური ქიმიის მოდულის ხელმძღვანელი, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, სადოქტორო გრანტის თანახელმძღვანელი, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტების მიერ წარმოდგენილი მოხსენებების ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, ფლობს უცხო ენებს და კომპიუტერულ პროგრამებს: Ms-Word, Ms-Excel, PowerPoint, Internetexplorer.

IV კატეგორიის ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეპარტამენტი - ქიმია, ორგანული და ბუნებრივ ნერთთა ქიმიის კათედრაზე** ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) 1 ვაკანსიაზე საბუთები შემოიტანა ორმა კანდიდატმა:

1. ნინო ნიკოლეიშვილი
2. ნათია ჯალაღონია

#### 1. ნინო ნიკოლეიშვილი

კონკურსანტ ნინო ნიკოლეიშვილის წარმოდგენილი ანკეტა და საბუთები შეესაბამება გამოცხადებულ ვაკანსიას. I კატეგორიაში მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“.

II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო შეფასება მაღალი (პედაგოგიური სტაჟი 12 წელი, კითხულობს ლექციების კურსს ბაკალავრისტში: ქიმიის შესავალი, ქიმია, სასკოლო სწავლების მეთოდთა 1, სასკოლო სწავლების მეთოდთა 2; ქიმიის სწავლების მეთოდთა 1 და ქიმიის სწავლების მეთოდთა 3. მაგისტრატურაში- 2 საგანს).

III კატეგორიაში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა: არსებული მონაცემების საფუძველზე - სტატიები იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში - 4, მოხსენებები საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებზე - 9, Google scholar -ის მიხედვით ციტირების ინდექსი-25, h - ინდექსი - 3, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში- 2 (პროექტის ხელმძღვანელი, კოორდინატორი); თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან-2: 1-ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, ზაარლანდის უნივერსიტეტი, გერმანია, 2018 წლის სექტემბერი, 2- მოწვეული

მასწავლებელი - Swiss American Academy. შვეიცარია, მარტი-მაისი, 2019 წელი. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. მესამე კატეგორიის პირველ ნაწილში კონკურსანტმა დაიმსახურა მაღალი შეფასება, ხოლო მეორეში საშუალო.

IV კატეგორიის პირველ ნაწილში დაიმსახურა შეფასება მაღალი, ხოლო მეორე ნაწილში საშუალო.

### **ნათია ჯალაღონია**

კონკურსანტ ნათია ჯალაღონიას წარმოდგენილი ანკეტა და საბუთები სრულად არ შეესაბამება გამოცხადებულ ვაკანსიას. I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შეფასება ვაკანსიის პროფილთან) მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია სრულად არ შეესაბამება მოთხოვნებს“.

II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო საშუალო შეფასება, რადგანაც: (ა) პედაგოგიური გამოცდილება სრულად არ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს; ბ) ანკეტაში სასწავლო-მეთოდური საქმიანობის შესახებ შესაბამისი გრაფა არასწორადაა შევსებული, ნაცვლად საკუთარი მონაცემებისა, შეტანილია სილაბუსებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი

III კატეგორიაში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა: არსებული მონაცემების საფუძველზე - სტატიები იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში - 11, მოხსენებები საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებზე - 5, არის 1 პატენტის თანაავტორი; საგრანტო/სახელშეკრულებო თემებში მონაწილეობა-5 (როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელი, ძირითადი პერსონალი, პროექტის კოორდინატორი, ამოცანების მენეჯერი); თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან:

მექანიკის ინსტიტუტი სოფია, ბულგარეთი - 17.08 -18-09, 2019; 20.10 – 21.11, 2018 წწ; სალერნოს უნივერსიტეტი სალერნო, იტალია - 7.01 – 7.02, 2018; სიჩუანის უნივერსიტეტი, ჩენგდუ, ჩინეთი 16.06 – 18.09, 2017. პირველ ნაწილში მიიღო მაღალი შეფასება, ხოლო მეორეში- საშუალო ( ინფორმაცია: ციტირების, *h* და *g* ინდექსების შესახებ არასწორია).

IV კატეგორიის ორივე ნაწილში დაიმსახურა მაღალი შეფასება.

კონკურსანტებს - ქრისტინე გიორგაძეს, ნინო თაყაიშვილს, ნინო ნიკოლეიშვილს და ნათია ჯალაღონიას მიენიჭოთ პრეტენდენტის სტატუსი და დაშვებულ იქნან კონკურსის მეორე ეტაპზე-გასაუბრებაზე.

გასაუბრება ჩატარდა პრეტენდენტების სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის მოკლე მომხილვისა და კითხვა-პასუხის რეჟიმში.

## ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრა

### ქრისტინე გიორგაძე

კანდიდატს გასაუბრებისას დაესვა კითხვები და დადებითად შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. პრეტენდენტმა აღნიშნა, რომ ის კითხულობს რამდენიმე საგანს, რაც აღნიშნულია ანკეტაში. ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც მოდის სკოლიდან და თუ რამდენად იცვლება სტუდენტების მიდგომა და ინტერესი თანდათანობით საგნის შესწავლის პარალელურად. აღნიშნა, რომ განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს გარდამავალ მეტალებს - d მეტალებს, რომელთაც გააჩნია კომპლექსწარმოქმნის უნარი, იხილავს კავშირს კომპლექსწარმოქმნელის აღნაგობასა და კომპლექსწარმოქმნის თვისებებს შორის. ასევე ასწავლის ბაკალავრიატში ქიმიის სწავლების მეთოდიკას, სადაც სკოლის მასალის გამდიდრება ხდება უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით. ბიოლოგებთან ასწავლის საგანს „ქიმია“. მიუხედავად იმისა, რომ საათების რაოდენობა ძალიან მცირეა (15 სალექციო საათიდან 7-ს ატარებს თვითონ, ხოლო 8 საათი ეკუთვნის ორგანიკოსებს), ერთ ლექციას ყოველთვის უთმობს სიცოცხლის მეტალებს. ამ საგნით სტუდენტების დაინტერესება იმდენად დიდია, რომ მეცადინეობას დიდი ენთუზიზმით ესწრებიან მაღალი კურსის სტუდენტებიც.

გ. ბეზარაშვილის შეკითხვაზე, თუ რა მიმართულებით ატარებს საკვლევ სამუშაოებს, ქრისტინე გიორგაძემ უპასუხა, რომ ამ ეტაპზე ის მუშაობს ზეგამტარების ქიმიაში, ანუ იმ სფეროში, სადაც ნაკლები რეაქცია და რეაქტივია საჭირო, რომ კვლევაში არიან ჩართული სტუდენტები და მუშაობენ დიდი ენთუზიზმით.

რუსუდან გიგაურის შეკითხვაზე: „დიდი ხანია კითხულობთ ლექციებს, რა არის თქვენს ლექციებში ახალი“? - კონკურსანტმა უპასუხა, რომ ახალ საკითხებს ის ვერ განიხილავს, მაგრამ სილაბუსის საკითხების განხილვა ხდება დიდი სიღრმით.

## ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრა

### ნინო თაყაიშვილი

კანდიდატს გასაუბრებისას დაესვა კითხვები და დადებითად შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. კონკურსანტმა აღნიშნა, რომ ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ის მუშაობს 2006 წლიდან. ბაკალავრიატში კითხულობს რამდენიმე საგანს: ანალიზური ქიმია 1; ანალიზური ქიმია 2; ქიმიური ექსპერტიზის მეთოდებს, გარემოს კვლევის ქიმიურ მეთოდებს; გარემოს კონტროლს და ექსპერტიზას. მაგისტრატურაში: ჩამდინარე წყლების ქიმია და ანალიზი ვითიერებათა კონცენტრირებისა და დაცილების მეთოდები; ნიადაგის ეკოქიმიური ანალიზი; სასმელი და მინერალური წყლების ანალიზი და ექსპერტიზა; ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ანალიზი და ექსპერტიზა; კვების პროდუქტების ანალიზი და ექსპერტიზა. ატარებს ამ საგნებში ლექცია, სემინარულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს. არის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი, ან თანახელმძღვანელი. პედაგოგიკურ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურად არის ჩართული აკადემიკოს ბ. ჭანკვეტაძის მიერ დანერგილ სამეცნიერო კვლევებში. კვლევა წარმოებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად უახლესი ხელსაწყო - აპარატურის გამოყენებით. გიორგი ბეზარაშვილის კითხვაზე: „1) გამომდინარე იქიდან, რომ კათედრაზე მხოლოდ თქვენ ხართ ანალიტიკოსი, ხომ არ ქმნის ეს სიძნელეებს? 2) ინსტრუმენტული მეთოდებიდან რომელ მეთოდებს იყენებთ კვლევაში?“ კონკურსანტის პასუხი: 1) ასისტენტ პროფესორს სჭირდება საათების დიდი რაოდენობა, ამიტომ რეალურად ბევრი საათი აღარ რჩება მოწვეული პედაგოგისთვის; 2) პოტენციომეტრია, რეფრაქტომეტრია, ფოტოკოლორიმეტრია, ატომურ-აბსორბციული სპექტროსკოპია, მიკროტალღური ატომ-ემისიური სპექტროსკოპია.

**რუსუდან გიგაური:** რომელ მძიმე მეტალებს იკვლევთ და რა რეაქტივს იყენებთ მათ გადასაყვანად ხსნად ფორმაში?

**ნინო თაყაიშვილი:** ვიკვლევთ კადმიუმს, ქრომს, მანგანუმს, ტყვიას და სხვა. გადაგყავს ხსნარში, ვიყენებთ თეზაფს.

**რუსუდან გიგაური:** ევროკავშირში საზღვრავენ ხსნადი ფორმებიდან, ხდება ორგანული მჟავებით დამუშავება, რაც გამორიცხავს აგრესიულ მჟავებს.

**კონკურსანტის პასუხი:** მიკროტალღური ატომ-ემისიური ხელსაწყო მოითხოვს, რა მჟავა უნდა იყოს გამოყენებული, pH უნდა იყოს 1-2 ფარგლებში. აკადემიკოსი ჭანკვეტაძე აწარმოებს კვლევას იმ მცენარეებზე, რომელშიც ხდება ამ მეტალების გამოყენება და რომ ის აქტიურად არის ჩართული ამ კვლევებში.

ნ.თაყაიშვილმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო-პედაგოგიურ დატვირთვასთან ერთად ის ამავე დროს ასრულებს სხვადასხვა საორგანიზაციო დავალებას. აქვს იმედი, რომ კვლავ დაიკავებს ასისტენტ პროფესორის თანამდებობას და გააგრძელებს დაწყებულ კვლევებს.

## ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრა

### 1. ნინო ნიკოლეიშვილი

კანდიდატს გასაუბრებისას დაესვა კითხვები და დადებითად შეფასდა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. კონკურსანტმა აღნიშნა, რომ მან წარმატებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1994 წელს. 1996 - 2016 წლებში იყო თსუ ორგანული ქიმიის კათედრის ლაბორანტი, 2016 წლიდან დღემდე ორგანული ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგეა, ასევე 2012 წლიდან დღემდე ორგანული ქიმიის კათედრაზე მოწვეული პედაგოგია. არის თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოწვეული პედაგოგი. წლების განმავლობაში ჩართულია კათედრის სამეცნიერო საქმიანობაში. არის მაგისტრის თანახელმძღვანელი. მუშაობდა ჰეტეროციკლური ნაერთების სინთეზის მიმართულელებით. ბოლო პერიოდში დაინტერესდა მწვანე ქიმიით. მიზანია რეაქტივებისა და ელექტრონერგიის დაზოგვა. როგორც კონკურსანტი აღნიშნავს, მისთვის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ გამარჯვების შემთხვევაში მას მიეცემა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შერწყმის საშუალება.



## 2. ნათია ჯალალონია

მეორე კონკურსანტმა ნათია ჯალალონიამ უარი განაცხადა გასაუბრებაზე და მოხსნა თავისი კანდიდატურა.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ხუთივე წევრმა.

**ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) თანამდებობაზე კენჭისყრის შედეგების მიხედვით ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად:**  
**ქრისტინე გიორგაძე - მომხრე-5, წინააღმდეგი -0.**

**ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) თანამდებობაზე კენჭისყრის შედეგების მიხედვით ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად:**  
**ნინო თაყაიშვილი- მომხრე-5, წინააღმდეგი-0**

**ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) თანამდებობაზე კენჭისყრის შედეგების მიხედვით ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად:**  
**1. ნინო ნიკოლეიშვილი- მომხრე-5, წინააღმდეგი-0.**

### დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის:
  - ა) ზოგადი, არაორგანული და მეტალორგანული ქიმიის კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო კომისიამ გამარჯვებული კანდიდატის სტატუსი მიანიჭა ქრისტინე გიორგაძეს;

ბ) ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო კომისიამ გამარჯვებული კანდიდატის სტატუსი მიანიჭა **ნინო თაყაიშვილს**;

გ) ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა“) თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო კომისიამ გამარჯვებული კანდიდატის სტატუსი მიანიჭა **ნინო ნიკოლეიშვილს**.

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა, რომ შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

კომისიის თავმჯდომარე, ასოც. პროფ.

/გ. ბეზარაშვილი/

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე, ასოც.პროფ.

/მ. ტრაკაპიძე/

წევრები:

ასოც. პროფ.

/ა. მსხილაძე/

ქიმიის დოქტორი

/რ. გიგაური/

მდივანი, ასისტენტ პროფ.

/მ. ქარჩხაძე/

თარიღი: 7 აგვისტო, 2024 წელი